აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 61

14/09/2016 წელი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ

საარჩევნო სუბიექტის „ეროვნული ფორუმი“ მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში კანონით დადგენილ ვადაში წარმოდგენილ პარტიულ სიაში უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატები, პარტიული სიით რიგით N26 ზვიად ძირკვაძე და N35 მანანა შარაბიძე არ აკმაყოფილებენ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 39-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნებს, ვინაიდან არ წარმოუდგენიათ კანონით დადგენილ ვადაში უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატთა მიერ შევსებული და ხელმოწერილი სააღრიცხვო ბარათი და ფოტოსურათი.

საარჩევნო სუბიექტმა „ეროვნული ფორუმი“ 2016 წლის 12 სექტემბერს წარმოადგინა შესწორებული პარტიული სია, თუმცა არ წარმოუდგენია უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის პარტიული სიით რიგით N26 მერაბ მჟავანაძის მიერ შესწორებული სააღრიცხვო ბარათი. შესაბამისად, აღნიშნული კანდიდატი არ აკმაყოფილებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს. საარჩევნო სუბიექტის „ეროვნული ფორუმი“ მიერ პარტიული სიით რიგით N32 ხატია თვალავაძე არ აკმაყოფილებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს, ვინაიდან არ შესრულებია და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების დღისათვის არ უსრულდება 25 წელი.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის, 39-ე მუხლის მე-7 პუნქტის, 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და 74-ე მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე, **ვადგენ:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო რეგისტრაციაზე უარი ეთქვას საარჩევნო სუბიექტის „ეროვნული ფორუმი“ პარტიული სიით წარდგენილი უმაღლესი საბჭოს წევრობის შემდეგ კანდიდატებს:

ა) ზვიად ძირკვაძე (პარტიულ სიაში N26);
ბ) მერაბ მჟავანაძე (პარტიულ სიაში N31);
გ) ხატია თვალავაძე (პარტიულ სიაში N32);
დ) მანანა შარაბიძე (პარტიულ სიაში N35).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე